საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის

№ 165 ოთხშაბათი, თებერვლის 7 (20) 1918 წ. № 165

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ოსმალებმა ერზინჯანი დაიკავეს.—ხმები, ოსმალები [illegible] უახლოვდებიანო.—ყუბანის ოლქში დამფუძნებელ კრებას იწვევენ.—პეტროგრადში დიდი არეულობაა სიმშილობის ნიადაგზე.—სახალხო კომისარების განკარგულებით რუმინიის ელჩმა პეტროგრადი დასტოვა.—ფინლანდიაში ძალა-უფლება სახალხო რწმუნებულთა საბჭოს ხელშია.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., ქვეყნის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებების ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარათის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

კოოპერატივებო და კოოპერატორებო, დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით. ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

1061 საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია. ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

გაზეთი „სახალხო საქმე“ ღირს: ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის“ რედაქციას.

ნინო მიხეილის ასული და დავით კირილეს ძე ციციშვილები, შვილებით, მარიამ კირილეს ასული და ივანე ივანეს ძე თაქთაქიშვილები შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და [illegible] ტრაგიკულად დაღუპვას თავის მოვალეობის ასრულების დროს ქართველთა მეშვიდე პოლკის პორუჩიკის

გიორგი (გუგუშა) დავითის ძე ციციშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს თებერვლის 7-ს დილის 11 ს. და საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში. თებერვლის 8 ს იმავე ეკლესიაში იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი, რომლის შემდეგ დასაკრძალავად გაასვენებენ ვერის წმიდა ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ელენე იაკობის ასული ნასყიდოვი და მისი შვილები გიორგი ანდრიას ძე და მარიამ ანდრიას ასული ბოხუა მეუღლით და შვილებით და ანა ანდრიას ასული კუპულარია მეუღლით და შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარი: პირველის—შვილის, მეორეთა—ძმის, სიძის და ბიძის

სტეფანე ანდრიას ძის ნასყიდოვის

გარდაცვალებას (6 თებერვალს ღამით) პანაშვიდი ყოველდღე საღ. 5 საათზე, მიცვალებულის ბინაზე (დიდი მთავრის ქ. № 113). გამოსვენება ხუთშაბათს 8 თებერვალს, დილის 10 საათზე, დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. 169

6 თებერვალს ღამით მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სტეფანე ანდრიას ძე ნასყიდოვი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] ასული შვილებით. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 5 საათზე, მიცვალებულის ბინაზე, (დიდი მთავრის ქ. № 113. მიცვალებულს გამოასვენებენ ხუთშაბათს, 8 თებერვალს, დილის 10 საათზე და წაასვენებენ დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის მართლმადიდებელთა სასაფლაოზე. 179

პური

თანახმად ტფილისის ქალაქის გამგეობის დადგენილებისა

16 თებერვლიდან პური მხოლოდ სახლის კომიტეტებს მიეცემა,

გარდა ახლად [illegible], რომელთაც პური ყოველდღიური ბარათებით მიეცემა.

ამ დაწესებულებებს და ადგილებს, სადაც საერთო სასადილოა გამართული, გარდა ინტერნატებისა და საერთო-საცხოვრებელ ბინებისა („ობშჩეჟიტიებისა“), 16 თებერვლიდან პური აღარ მიეცემათ.

16 თებერვალს რომ უპუროდ არ დარჩნენ დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომლებიც პურს საქალაქო ფურნიდან ღებულობენ, უნდა ჩაეწერონ სახლის კომიტეტებში მათი ბინების მიხედვით.

1066 ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება

ს. ა. ნასყიდოვის სააგენტოს ყოფილი მოსამსახურენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 თებერვალს, ღამით გარდაიცვალა სააგენტოს პატრონი

სტეფანე ანდრიასძე ნასყიდოვი

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, მიცვალებულის ბინაზე (დიდი მთავრის ქუჩა, № 113). გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს 8 თებერვალს დილის 10 საათზე დიდუბის ეკლესიაში დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 164

ქართ. დრამა. | **ქართული კლუბი** | წარმოდგ. № 32.

ხუთშაბათს, 18 თებერვალს 1918 წ.

ტფ. ქართ. დრ. დასის მიერ ვ. შუბიას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ალოუმი

კომ. 4 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ ქალნი: აბაშიძე [illegible], შოთაძე ა., იმერელი ა., კავთელი ა., ჩერქეზიშვილი ე., ვაჟნი: გუნია ვ., გვარამაძე ნ., ზარდალიშვილი ი., თარალაშვილი ი., იმედაშვილი გ., იმედაშვილი ა., [illegible]ვიძე ი., კობახიძე ი., მატარაძე ვ., შალიკაშვილი ვ., ციციშვილი ნ.

დასაწყისი საღამოს 7½ საათზე. რეჟ. ვ. შალიკაშვილი. 175

11 თებერვალს დანიშნულია კოოპერატივ

„მეურნეს“

ჩვეულებრივი წლიური კრება.

განსახილველი საგნები:

1. წლიური ანგარიშის განხილვა-დამტკიცება;
2. 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა-დამტკიცება,
3. მიმდინარე საკითხები;
4. წესდების ძალით გასულ გამგეობის ორი წევრის არჩევა.

კრება მოხდება ახალ კლუბში, დილის 12 საათზე.

კრება მეორეჯერ ინიშნება და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 1065

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური სადგომი. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 7 თებერვალს, გაიმართება

დიდი წარმოდგენა

პირველად გასტროლი ცნობილი „ცოცხალი ლეშის“ პეტროვის. 25 წუთის განმავლობაში იქნება მიწაში უჰაეროდ. პეტროვი ორიგინალურია თავისი ნომრების შესრულებაში. ჭიდაობს 5 წყვილი: 1. ფრადლოვი და ევსტაფიევი, 2 ძლინი და ყარამანოვი, 3. დობრინინი და ხვრბეკ-როლანდი, 4. ზბიშკო და შეფერდიური, 5. [illegible] ჯორემორი. 171

ტფილისი, 7 თებერვალს 1918 წ.

პოლიტიკურ პრესაში **სომეხთა** გაცხარებული კამათია **დაწყებულა**. გაჩაღებული ამიერკავკასიის სეიმის და ერების პოლიტიკურ მიმართულების შესახებ. ეს კამათი არკვევს მთელ რიგ რთულ ეროვნულ-ეკონომიურ საკითხებს და იგი შემდეგ სარწმუნოდ დაედება სეიმის მუშაობას.

სეიმის შესახებ ჩვენი აზრი აშკარად იყო გამოთქმული. სეიმი მიგვაჩნია ისეთ გარდამავალ საამიერ-კავკასიო ორგანიზაციად, რომელსაც შეუძლია როგორც დამფუძნებელ კრების სურროგატს გადასწყვიტოს ზოგი საკონსტიტუციო საკითხები, შექმნას ამიერ კავკასიის ფედერაციის საფუძველნი და ამნაირად ხელი შეუწყოს ერთა ცხოვრების ჩამოყალიბებას ნაციონალურ მართველობის საფუძველზე. ამ პროექტში გამოხატულია არა მარტო ნაციონალური პრინციპი, არამედ ინტერნაციონალურიც, ვინაიდან ფედერაცია და შოვინიზმი ისევე მოუთავსებელია როგორც ცეცხლი და წყალი. არსებითად ეს სქემა თანდათან ხორციელდება მთელ რუსეთში და ჩვენ თუ განგებ არ დავიბრმავებთ თვალებს, ნათლად დავინახავთ, რომ ამიერ-კავკასიაც ვერ აშორდება ამ მიმართულებას.

რა ნაირი უნდა იყოს სომხების დებულება ამ შემთხვევაში? ამიერკავკასიის ერებში ყველაზე მეტი ეროვნული ჩაგვრა-წვალება სომხის ერს განუცდია და დღეს ეს ერი ეროვნულად უფრო დარაზმულია. აშკარაა სომხის ერი ვერ მოიშორებს სად ეროვნულ მართველობის პრინციპს და მოველოდით, რომ ამ პრინციპს სომხის ერის [illegible] ეროვნულ თვითშეგნებას და თვითმოქმედებას არ გადაახურდავებდნენ სხვა სახელმწიფოს დიპლომატიის დაპირებაზე. სამწუხაროდ, რამდენადაც სომხის ერის სულისკვეთება სჩანს დაშნაკელთა პრესაში, ჩვენ ვერ ვხედავთ ასეთ დემოკრატიულ პოლიტიკას და დღეს სომხური გაზეთები ეროვნულ საბჭოებსაც ეწინააღმდეგებიან, სახელს უტეხენ და დეცენტრალიზაციის პრინციპის მაგიერ ცენტრალიზმს ესარჩლებიან, რაიცა რუსეთის ძველ წესწყობილების აღდგენას და დაცვას მოასწავებს.

იდეურად და პროგრამულ [illegible] მიხედვით სომხის ერის ეროვნულ პარტიას ასეთი პოლიტიკის ქადაგება ოდნავადაც არ შეეფერება, მაგრამ ჩვენ ამ ფაქტის დაწვრილებით [illegible] არ შევუდგებით. სომხები ცდილობენ ამ პოლიტიკას დემოკრატიული და ზნეობრივი საფუძველნი მოუპოვონ, რისთვისაც სხვა ერის დემოკრატიის ინტერესებსაც იცავენ თითქოს. განსაკუთრებით ეს სჩანს სომხურ პრესის დამოკიდებულებაში თურქებთან (თათრებთან). სომხების აზრით ეროვნულ პრინციპით დარაზმვა დღეს დღეობით პირდაპირ შეუძლებელია, რადგან ამიერკავკასიის თურქობა (თათრობა) შეიძლება კვლავ დარჩეს ბეგების და აღალარების კლანჭებში და მით საფრთხეში ჩავარდეს სხვა ერიც ამიერკავკასიისა. ამ დებულებას ეროვნულ საბჭოს გასაწბილებლად ერთ დროს სოციალ-დემოკრატებიც იმეორებდნენ და დრო კია გარკვევით ითქვას, რომ ამ დებულების გამართლება არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში და იგი სრულიად უსაფუძვლოა. სომხების ასეთი შიში შეიძლება მართალი გამოდგეს, რომ ვქადაგებდეთ თათრობისათვის სრულს გამოყოფას და სეპარაციას, მაგრამ მაშინ, როდესაც არსებობს ფედერალური კონსტიტუცია, ეს იმას ნიშნავს, რომ არის მთელი რიგი ძირითადი საკითხებისა, რომელიც უნდა გადაწყდეს საერთოდ რევოლუციის ტემპის და მოპოვებულ უფლების მიხედვით. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სომხეთში ან საქართველოში არსებობდეს რესპუბლიკა და აზერბეიჯანის მიდამოში კი მონარქია, ან შეუძლებელია სოციალიზაცია იყოს ერთ მხარეში და მეორეში კი ბეგების სრული ბატონობა მიწაზე. სადაც ფედერაციაა, იქ შეუძლებელია არ იყოს ერთი მთავარი, ძირითადი ფორმა უფლებრივი წყობილებისა, რომელიც დაახლოვებით ერთნაირი იქნება ყველა ერისათვის. ამიტომ ეს ერთად ერთი და უმთავრესი დებულება სომხებისა ეროვნულ მიმართულების უარსაყოფად ეხლანდელ პირობებში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და მხოლოდ სპეკულიატიური აზროვნების ნაყოფია.

დროა, ერები გულწრფელად დაეყრდნონ საკუთარ თავს, თავი გაანებონ დიპლომატიას, საიდუმლო ხვრელების ძიებას და ეროვნული საქმე მოაგვარონ ეროვნულის და საერთაშორისო პრინციპების შეთანხმება-შეგუებით.

მახლობელი მომავალი

საქართველო სრული გამოურკვევლობის წინაშე სდგას. რევოლუციის პირველი დღეები სოციალ-დემოკრატ მენშევიკების განუსაზღვრელი ბატონობის დღეები იყო. მრავალ წელთა მუშაობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ხალხი უსიტყვოდ დაემორჩილა „ერთად-ერთის“ პარტიას და მისი ბრძანების ყურ-მორჩილ აღმასრულებლად გადაიქცა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რანაირ საშუალებას მიმართავდა სოციალ დემოკრატიული პარტია ამ ჰეგემონიის შესაქმნელად, რომელიც დღეს არსებობს, რევოლუციის პირველ დღეებში სოციალ-დემოკრატების ჰეგემონია განუსაზღვრელი იყო. საკმარისია თვალი გადავავლოთ თუნდაც დამფუძნებელი კრების არჩევნებს, რომ ნათლად დავინახოთ, რომელი პარტია უნდა ჩაითვალოს ერის პოლიტიკის [illegible]მა პარტიამ „მუსავატმა“, სომხურმა პარტიამ „დაშნაკცუტუნმა“ და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თითქმის ერთნაირი რიცხვი ხმებისა მიიღეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ უმეტესი ნაწილი ხმებისა ქართველობისაა, დავინახავთ, რომ ჩვენს მეზობელ ერებში უძლიერესი პარტიები ეროვნული პარტიებია, საქართველოს უძლიერესი პარტია კი ინტერნაციონალური, ამ სიტყვის სოციალ-დემოკრატიული მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ პარტიას მხოლოდ ქართველი ერი აძლიერებს. ობიექტიური მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ სოციალ-დემოკრატების მთავრობის დამარცხება ჩვენში ამასთანავე ერთად იქნება ქართველებისა და საქართველოს დამარცხება. სოციალ-დემოკრატების დამარცხება კი ადვილად შესაძლებელია.

დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის დანახვისთვის, რომ დღეს ამიერკავკასიაში ჰხდება იზოლაცია სოციალ-დემოკრატ მენშევიკებისა და ამასთანავე ერთად ჰხდება იზოლაცია თვით ქართველი ერისაც. პირველ ხანებში, სანამ ბოლშევიკების პირველი გამარჯვებით აქაური სარევოლუციო წრეები (განსაკუთრებით სოც.-რევოლუციონერები) დამფრთხალნი იყვნენ, ძალიან ადვილად შეურიგდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის მოწყობას. სოც.-რევოლუციონერები არამც თუ დასთანხმდნენ, ამიერკავკასიის კომისარიატის აზრი პირველად თვით სოც.-რევოლუციონერთა წრეებში დაიბადა. ეს პარტია, რომელიც რუსის ჯარს ეყრდნობოდა, საკმაოდ ძლიერად ჰგრძნობდა თავის თავს და თავზე აჯდა ამიერკავკასიის ერობას, რომელთა ეროვნულ თვითგამორკვევასაც მთელის თავისი არსებით ებრძოდა. მაშინ სოც.-რევოლუციონერებს საჭიროდ მიაჩნდათ ამიერკავკასიის დახსნა ბოლშევიკების გამარჯვებიდან და ამ მიზნით ისე ძალიან იყვნენ გატაცებულნი, რომ „ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობაც“ შეჰქმნეს და კომისარიატიც, როგორც საბჭოების გარეშე მყარი მთავრობა. ასე იქცეოდნენ სოც.-რევოლუციონერები მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იყვნენ და ეხლაც არიან არა სოციალისტური და რევოლუციური იდეის მატარებელნი, არამედ ველიკორუსული აზრების

[illegible]. ველიკოროსულ იდეას მსხვერპლად შესწირეს ამიერკავკასიის ერთა პოლიტიკური და ეროვნული განთავისუფლება, სოც.-რევოლიუციონერებს, როგორც რუსულ პარტიას და ამასთანავე ისეთს რუსულ პარტიას, რომელიც საკმაოდ არის გაჟღენთილი რუსული შოვინიზმით, სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო. სოც.-რევოლიუციონერებისთვის საქართველოს განთავისუფლება, მისი სუვერენული უფლების აღიარება რუსული ინტერესების შებღალვად მიაჩნდათ და ამიტომ სხვანაირად არ შეეძლოთ მოქცეულიყვნენ.

სოციალ დემოკრატი მენშევიკებიც სრულიად რუსეთის სარევოლიუციო ინტერესების თვალსაზრისზე იდგნენ და ამიტომ აჰყვნენ სოც.-რევოლიუციონერებს. აჰყვნენ მათ, მაგრამ არა იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც სოც.-რევოლიუციონერები. სოც.-რევოლიუციონერები რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებელ მთავრობას ჰქმნიდნენ, აზრად მხოლოდ ველიკოროსული ინტერესების დაცვა ჰქონდათ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კი გულწრფელად სწამდათ, რომ ბოლშევიკების გამარჯვება დროებითი მოვლენაა და გარდამავალი ხანის გავლის შემდეგ დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც რუსეთის დემოკრატიული ფრონტი გაერთიანდებოდა და სარევოლიუციო ლოზუნგების განხორციელებაც [illegible]. ეს იმედები სოც.-დემოკრატებს ეხლაც არ დაუკარგავთ, რადგანაც ერთი სარევოლიუციო ლოზუნგთაგანი იყო სხვათა შორის ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაც, სოც.-დემოკრატიული შეუდგნენ ხიდის შემზადებას ამ ლოზუნგის გასახორციელებლად.

მაგრამ გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ არც ისე საქმე, როგორც სოციალ-დემოკრატებს ეგონათ. უპირველესად ყოვლისა ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში „ავანტიურა“ არ გამოდგა. ჩვენ არ ვიზიარებთ ბოლშევიკურ აზრებს, მაგრამ ვერაინც ვერ შეგვიძლიან ავანტიურა ვუწოდოთ მოძრაობას, რომელიც მთელს რუსეთს მოედო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახალხო კომისართა საბჭო დღეს ერთად ერთი მბრძანებელია რუსეთისა. ამ შემთხვევაში სოციალდემოკრატებმა სწორედ ვერ აუღეს ალღო ძალთა განწყობილებას. მეორეს მხრით, ბოლშევიკური მოძრაობა მხოლოდ სოციალური ხასიათის მოძრაობა არ არის. იგი ამასთანავე ეროვნულ ველიკოროსული, რუსეთის გამაერთიანებელი მოძრაობაა. რუსეთი დაიღალა, რომ [illegible], ეს [illegible] არის მხოლოდ ნაწილი. ერთის მხრით ჰქონდა პროცესი რუსეთის რღვევისა, მეორეს მხრით ჰქონდა მისი გაერთიანება და ეს [illegible] გაერთიანება რუსეთისა დღეს [illegible] ველიკოროსული იდეის [illegible] სწორედ. ამიტომ სოციალ-დემოკრატი მენშევიკები, როგორც რუსეთის მთლიანობის იდეის მატარებელნი, დაემორჩილნენ [illegible] ძალთა განწყობილებას და [illegible] იმ წესწყობილებას, რომელიც ბოლშევიკებისა ეკუთვნის. ან კიდევ საზოგადოდ კავშირი უნდა გამოუცხადონ ბოლშევიკებს და ამასთანავე უთუოდ გაუწყვიტონ კავშირი თვით რუსეთთან, როგორც სახელმწიფოსთან. სხვა გზა მათთვის არ არსებობს.

სოციალდემოკრატები დღეს გზაჯვარედინზე სდგანან და ერთის მხრით რუსეთის მთლიანობას ემხრობიან, მეორეს მხრით კი ებრძვიან იმ მოძრაობას, რომლის დროშის ქვეშაც დღეს ფაქტიურად სწარმოებს დარღვეული რუსეთის გაერთიანება. ამიტომ მათ [illegible] პრინციპიალური სიძლიერე [illegible] და პრინციპიალური სისუსტე [illegible] ჰქონის ფაქტიურს სისუსტეს. რუსეთს ფაქტიურად მოწყვეტილი სოციალდემოკრატია დასაყრდენ ძალას [illegible] და თავისდაუნებურად ამ ძალას [illegible] ქართველ ერში ჰპოულობს. ამიერკავკასიის სხვა ერებში სოციალ-დემოკრატებს დასაყრდენი ძალა არა აქვთ. მაგრამ, რამდენადაც მეტად [illegible] იგი ქართველ ერს, იმდენად მეტად იჩენს თავს ის ეროვნული ინტერესები, რომლებიც ასე უცხოა [illegible] გადახლართულ-გადაბლართულ ამიერკავკასიაში. აი, მაგალითად, [illegible] წინ სოციალდემოკრატებმა [illegible] სეიმის შექმნა და, მაშასადამე, პარლამენტარიზმის ნასახის შემოღება, მაშინ, როცა შოვინისტური სოციალ რევოლიუციონური პარტია [illegible] სოციალ დემოკრატებს. [illegible] სოციალდემოკრატებს [illegible], მაგრამ, რადგანაც პარლამენტარიზმის შემოღება ამიერკავკასიაში საზოგადოდ და საქართველოში —კერძოდ ველიკოროსული ტრადიციების დაშარხვას ნიშნავს, სოციალისტ-რევოლიუციონერებიც წინააღუდგნენ სოციალდემოკრატების განზრახვას და წმინდა ბოლშევიკური აზროვნება შეითვისეს. სოციალისტ-რევოლიუციონერებს არ უნდათ ამიერკავკასიაში პარლამენტარიზმი დამყარდეს და არ უნდათ არა იმ მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ბოლშევიკებმა გაწყვიტეს კავშირი პარლამენტარიზმთან, არამედ იმიტომ, რომ პარლამენტარიზმის უარყოფა ამიერკავკასიაში დღევანდელ პირობებში ხელს უწყობს ველიკოროსული ტრადიციების განმტკიცებას.

სომხებიც წინააღმდეგნი არიან პარლამენტარიზმის შემოღებისა ამიერკავკასიაში იმ დრომდე, სანამ ოსმალეთის სომხეთს რუსეთი არ შეიერთებს. ამიერკავკასიის ყველა ერის ინტერესი სომხებსა ჰსურთ მარტო თავის ეხლანდელ ინტერესებს ანაცვალონ. ამიტომ, თუ გამოჩნდება ისეთი ძალა, რომელიც არსებითად შესცვლის ძალთაგანწყობილებას ამიერკავკასიაში და ხელს შეუწყობს ისეთი მდგომარეობის დამყარებას, როდესაც საზოგადოდ შეუძლებელი გახდება პარლამენტარიზმის დამყარება, სომხები დიდის სიამოვნებით გაუწვდიან ხელსა. ამას მოითხოვს სომხების ეროვნული ინტერესი, ინტერესი, რომელიც ამიერკავკასიის დანარჩენ ერთა ხარჯით უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთი ძალა დღეს რუსეთში ბოლშევიკების ძალაა. და აი, მართალიც, ჩვენა ვხედავთ, რომ ერთის მხრით სტეფანე შაუმიანცი, ბოლშევიკების მიერ დანიშნული ამიერკავკასიის „მმართველად“ აქვეყნებს დეკრეტს სომხეთის განთავისუფლების შესახებ, მეორეს მხრით დაშნაკცაკანების პარტია პროტესტს აცხადებს, კომისარიატმა რად გადასწყვიტა შაუმიანცის დატუსაღებაო. ექაც იბადება ბოლშევიკებისა და სომხების სიმბიოზი.

ამიტომ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ძალიან მალე ჩვენში გაჩნდებიან „მემარცხენე“ სოციალისტ რევოლიუციონერები, „მემარცხენე“ დაშნაკცაკანები. რომელნიც სრულის კონტაქტით დაიწყებენ მუშაობას ბოლშევიკებთან. პირველებს ველიკოროსული იდეა ექნებათ დასახული, მეორეებს იდეა სომხების პოლიტიკური გაერთიანებისა და განთავისუფლებისა. მით უფრო, რომ ბოლშევიკების დეკრეტით სომხებს უკვე აღთქმული აქვთ სრული დამოუკიდებლობა თავიანთ შინაურ საქმეებში. ზემოხსენებულ ჯგუფთა კონტაქტი ჰქმნის სრულს იზოლიაციას სოციალდემოკრატიული პარტიისას და ამით ჰქმნის თვით ქართველი ხალხის იზოლიაციასაც, რადგანაც, როგორც ზევითაცა ვსთქვით, ქართველი ხალხი ჯერ ჯერობით სოციალდემოკრატებს მისდევს.

სად უნდა ვეძებოთ ხსნა? ორში ერთი უნდა ვარჩიოთ. ან ქართველ ხალხს არა ჰსურს პოლიტიკური განთავისუფლება მაშინაც კი, როდესაც მისი მეზობელი ერი, სომხები, ამ განთავისუფლებისთვის იბრძვის და მაშინ არც საჭიროა რაიმე დამოუკიდებელი ორგანოების შექმნა. მაშინ ქართველი ხალხი სხვების საწველ ფურად უნდა გამოვაცხადოთ და ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევურიგდეთ იმ აზრს, რომ საქართველო როგორც საქართველო მოკვდა და ამიტომ ყველასა აქვს უფლება თავზე წამოგვაჯდეს და იმდენი გვირახუნოს, რამდენიც მას ესიამოვნება.

ან საქართველოს ჰსურს პოლიტიკური განთავისუფლება, თუ მასში ჯერ კიდევ არ მომკვდარა უნარი თავის დაცვისა, თუ თავისუფლება ისეთი რამ არ არის, რაც ამიერ კავკასიაში მხოლოდ სომხების პრივილეგიას შეადგენს, მაშინ საქართველომაც თავის დამფუძნებელ კრებაზე უნდა სთქვას ეს თავისი სიტყვა და დაიცვას თავისუფლება ყველასაგან, ვინც იმდენად გაკადნიერდება, რომ ეს თავისუფლება წაართვას. ჩვენ ბოლშევიკებს კი არ უნდა ვებრძოლოთ, უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს თავისუფლებისთვის ყველა იმის წინააღმდეგ, ვინც საქართველოს მონად გახდომას მოინდომებს, თუ ბოლშევიკებმა მოინდომეს იარაღით დაპყრობა საქართველოსი, იმათაც იგე უნდა შევებრძოლოთ, როგორც მეფის ჟანდარმებს. მაგრამ თუ ქართველი ხალხი თავის ნებას უფრთხის ასე თუ ისე არ გამოხატავს, თუ იგი თითონ უარჰყოფს თავის საკუთარ თავისუფლებას რა უფლებისათვის შეგვიძლიან მოვთხოვოთ ვისმეს პატივისცემა ჩვენი უფლებებისადმი?

არ. ჯაჯანაშვილი.

საქართვ. ეროვ. საბჭო

დღეს საღამოს 6 საათზე გაიმართება სამაჰმადიანო საქართველოს სექციის სხდომა.

—

მეშვიდე კრება ეროვნულ საბჭოსი გაიმართება ოთხშაბათს, 7 თებერვალს ნაშუადღევის 1 საათზე. განსახილველი საგნები: მოხსენება ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მდგომარეობის შესახებ. 500.000 მან. სესხის აღება. ანარქია სოფლად. სექციების წარმომადგენლების მოხსენებანი. სასოგადო მზრუნველობის სექციის დაარსება. მიმდინარე საკითხები. საკანტროლო ორგანოს დაარსება.

1918 წ. 2. თებერვალს საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექციის ინიციატივით გაიმართა საბჭოს დარბაზში კრება ტფილისის მაზრის კოოპერატიული და წვრილი კრედიტის ამხანაგობათა წარმომადგენლებისა, რომელზედაც მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ტფილისის მაზრის კოოპერატორების თათბირმა იქონია მსჯელობა საქართველოს ეროვნული საბჭოს ნივთიერათ დახმარების შესახებ და, მიიღო რა მხედველობაში, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო აღიარებულია ყველა საქართველოში მომქმედ პარტიათაგან, როგორც აუცილებელი საჭირო დაწესებულება დღევანდელ მომენტში და ისიც, რომ საბჭოს სამოქმედოთ საჭიროა დიდძალი თანხა,—თათბირი საჭიროთ სცნობს მოუწოდოს ყველა კოოპერატივებს გადასდონ ეროვნული საბჭოს სასარგებლოდ ნაწილი გასული წლის წმინდა მოგებიდან; ეთხოვოს კოოპერატივების ხელმძღვანელთ ამ მხრივ გავლენა იქონიონ საზოგადო კრებებზე პირადი დასწრებით; კრებამ დაადგინა ეს რეზოლიუცია დაიბეჭდოს ყველა ქართულ გაზეთებში.

გარდა ამისა სხვათა შორის მღვდელ ხატისკაცის წინადადებით კრებამ დაადგინა გაუგზავნოს კოოპერატიულ და წვრილი კრედიტის ამხანაგობათ ქვიტანციის წიგნაკები საქართველოს ეროვნული საბჭოს სასარგებლოთ შემოწირულების მოსაგროვებლათ და ეთხოვოს ამხანაგობებს გამგეობით ერთგულად შეუდგნენ ამ საქმეს.

—

განათლების სექციის სხდომა გაიმართება ოთხშაბათს თებერვლის 7-სა საღამოს შვიდის ნახევარზე. განსახილველი საგნები: კომისიების არჩევა, სამებით ინსტიტუტის ნაციონალიზაციის, სეიმი და ეროვნული სკოლა და სხ.

—

კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორის მ. მაისურაძის წინადადებით ტყიბულის მომხმარებელთა საზოგადოება „ცხოვრება“-მ წლიურ მოგებიდან გადასდო ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ 1000 მანეთი.

ოსმალების შემოტევა

სანდო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ მოლაპარაკება ამ ჟამად ფაქტიურად შეწყვეტილია. ამის გამო შეიცვალა მდგომარეობაც კავკასიის ფრონტზე. ოსმალებმა მთელ ფრონტზე დაიწყეს შემოტევა და რადგან წინააღმდეგობას არავინ უწევს, გზა და გზა იკავებენ ყველა პუნქტებს, საწყობებს და მთელ ქონებას, რომელიც ჯარმა დასტოვა. ოსმალები შემდეგი ტაქტიკით მოქმედებენ: პირველ რიგში „ჩეტნიკებს“ უშვებენ, რომელნიც ამზადებენ ნიადაგს ადგილების დაპყრობისათვის, ხოლო შემდეგ რეგულიარული ჯარი მიდის.

ბათომთან ამ ჟამად მდგომარეობა ასეთია: „ჩეტნიკები“ გარს შემოერტყნენ ბათომს და თან და თან უახლოვდებიან მას და მალე რკალით შემოერტყმიან 6 მ.ხ. ოსმალთა მოძრაობას კავკასიის ფრონტით უკავშირებენ ბრესტის მოლაპარაკების შეწყვეტას, რაც ათავისუფლებს ოსმალებს, და აგრეთვე მათ [illegible], იმ მოვალეობა-ვალდებულებისგან, რომელიც მიიღეს მათ წინა წარი ზავის მოლაპარაკების ძალით.

ბათომის ევაკუაცია. ბათომის სადგურის უფროსი დეპეშით იტყობინება (4 თებერვალს, 3 საათ.) „საჭიროა სწრაფი ევაკუაცია ხაზინის ქონების. ამისთვის გთხოვთ გამოგზავნოთ თავისუფალი, დახურული ვაგონები და სხვაგვარი გადასატანი საგნები. დეპოს უფროსს ვსთხოვ დამხმარე [illegible] ორთქლმავალები, ციხის მატარებლისთვის, რომელიც დღესვე შესდგება. დაწვრილებით გაცნობებთ შემდეგ. კორძაია.

ერზინჯანის დაკავება. ოსმალებმა ერზინჯანი დაიკავეს.

ზავის გარშემო

ავსტრიელების ლტოლვილება ზავისადმი

ავსტრია უნგრეთში დღითი-დღე ძლიერდება სურვილი ზავის ჩამოგდებისა. ავსტრიელები აღშფოთებული არიან მით, რომ ავსტრიელი ჯარისკაცები მსხვერპლად ეწირებიან შორეულ ადგილებში, ბრძოლის ველზე, გერმანელთა მიზნის განსახორციელებლად. გერმანელების მიზნებს კი არაფერი საერთო არა აქვს ავსტრიის ინტერესებთან.

გერმანია-უკრაინის ზავის პირობები

ავსტრიასა და უკრაინის შორის შეკრულ ზავის პირობები, როგორც ბერლინიდან იტყობინებიან, შემდეგია: ავსტრიის და უკრაინის ძველი საზღვრების აღდგენა: დაპყრობილ ადგილების დაცლა დაიწყება ხელშეკრულების დაკანონების შემდეგ. ორივე მხარე უარს ამბობს კონტრიბუციაზე და სამხედრო ზარალის ანაზღაურებაზე; ტყვეები დაუყონებლივ იქნებიან დაბრუნებული შინ. ეკონომიური ურთიერთობა განახლებული იქნება.

ვილსონი ჰერტლინგის პირობების შესახებ

პრეზიდენტ ვილსონმა პარლამენტში გერმანიის კანცლერის, ჰერტლინგის მიერ წამოყენებულ საზავო პირობების წინააღმდეგ გაილაშქრა. ასეთი გზით სთქვა მან—არ შეიძლება ზავის შეკვრა რომელმაც უკანასკნელი სამი წლის ზარალი უნდა აანაზღაუროს, პრინციპები, რომელთაც ზავი უნდა დაეყრდნოს შემდეგია: 1) შეთანხმების ყოველი პუნქტი დამყარებული უნდა იყვეს სამართლიანობაზე, 2) ერები და პროვინციები არ უნდა იყვნენ მიჩნეული სხვისი ბატონობის საგნად, 3) ყოველივე ტერიტორიალური შეთანხმება თვით მცხოვრებთა ინტერესების მიხედვით უნდა მოხდეს და 4) ყოველგვარი ეროვნული მისწრაფება, რომელიც გარკვეულად იქნება წამოყენებული, დაკმაყოფილებული უნდა იქმნას, რომელიც უკვე გამოირკვა, ეს პირობები და პრინციპები მიიღო ყველამ, გარდა გერმანელ მილიტარისტებისა და ანექსიონისტთა პარტიის. ტრაგიკული მდგომარეობა სწორედ ისაა, რომ ამ პარტიას შეუძლია და ჰსურს სიკვდილი დაუმზადოს მილიონიან ხალხებს, რათა შეაფერხოს იმის განხორციელება, რაც მთელ ქვეყანას სამართლიანათ მიაჩნია. ჩვენ არას დროს არ გადაუხვევთ ჩვენ მიერ არჩეულ გზას. ყოველ ღონეს ვიხმართ ამ ომში, რომ განვათავისუფლოთ ხალხები თვითმპყრობელთა ჯგუფის ბატონობისაგან.

უკრაინის ზავი და ბრიტანიის მთავრობა

როგორც გადმოგვცეს, ბრიტანიის მთავრობა თავის თავს არ სთვლის ვალდებულად სცნოს ზავი, რომელიც უკრაინამ შეკრა.

გერმანიის კონტრიბუცია

ბავარიის პარლამენტში ფინანსთა მინისტრმა განაცხადა; ცხადია, გერმანიამ მტრისაგან კონტრიბუცია უნდა მიიღოს.

ვერსალის კონგრესი.

ინგლისის პრესა ხაზს უსვამს იმ გამოურკვეველ მდგომარეობას, რომელიც ვერსალის კონგრესმა შექმნა.

ზავი და დანია.

დანიის სოციალისტურ წრეებში უკანასკნელ ხანებში ხმები გავრცელდა, რომ გერმანიის სოც.-დემოკრატები, რომელნიც დიდ იმედებს ამყარებდნენ ბრესტის მოლაპარაკებაზე, ჰპირდებოდნენ დანიის ყოველგვარ დახმარებას დანიის შლეზვიგის პროვინციის დაბრუნებაში. ეხლა მთავრობის სოციალისტთა ორგანო „ინტერნაციონალ კორესპონდენც“, რომელიც ბერლინში გამოდის, ოფიციალურად უარჰყოფს ამ ხმებს.

არეულობა ავსტრია-გერმანიაში.

რამდენიმე ხნის წინად ბოლშევიკურ გაზეთებში ცნობები იყო, რომ როგორც რადიო-ტელეგრამიდან სჩანს, გერმანიასა და ავსტრიაში სოციალური რევოლიუცია დაიწყო. ცენტრალური სახელმწიფოების მუშები სთხოვენ რუს ამხანაგებს დახმარებას. როგორც შემდეგ გამოირკვა რადიო-ტელეგრამა გერმანულ და ავსტრიულ ორგანიზაციების მიერ კი არ იყო გამოგზავნილი, არამედ საზღვარ-გარედ მცხოვრებ რუსების მიერ.

მეორე რევოლიუცია

არეულობა სიმშილობის ნიადაგზე.

„ნოვაია ჟიზნი“ გადმოგვცემს, რომ პეტროგრადში სიმშილობის ნიადაგზე არეულობა დაიწყო. მუშათა ბრბო შეიკრიბა კრონის ქარხანასთან, კალაშნიკოვის სანაპიროზე, სადაც, როგორც დაჟინებით ლაპარაკობდნენ მუშებმა 6 ფუთი კარტოფილი მიიღეს სულზე. ეს ხმა გამართლდა. ქარხანასთან გულშემზარავ სცენებს ჰქონდა ადგილი: ქალები მუხლმოდრეკით ევედრებოდნენ ხუთი კარტოფილი მაინც მიეცით. „ჩვენ მშიერი ვართ და გთხოვთ შეგვიშვათ ეზოში“, ყვიროდნენ ისინი. წითელი რაზმელები დაემუქრნენ სიკვდილით. „გვესროლეთ, ჩვენ მაინც არ წავალთ აქედან, რადგან მშიერი ვართო“—ჰყვიროდნენ ქალები.

ჩხრეკა პეტროგრადში.

პეტროგრადის მუშათა საბჭოს სხდომაზე ზინოვიევმა განაცხადა, რომ ამ დღეებში პეტროგრადში ჩხრეკა დაიწყება იმ მიზნით, რომ ზედმეტი სურსათი აღმოაჩინონ ბინებზე. საჩხრეკად გაგზავნილი იქნებიან წითელი რაზმელები და მეზღვაურები, ის პირები, რომელთაც ზედმეტი სურსათი აღმოუჩნდება, დაუყოვნებლივ იქნებიან დახვრეტილი.

ელჩების წასვლა პეტროგრადიდან,

სახალხო კომისრების საბჭოს განკარგულებით რუმინიის ელჩს დიამიდის და მისის მთელ შემადგენლობას წინადადება მიეცა დასტოვონ პეტროგრადი 10 საათის განმავლობაში.

ალექსანდრე ნეველის ტაძრის ქონების კონფისკაცია,

სახ. ზრუნველობის მინისტრის, ქ-ნ კოლონტაის განკარგულებით, მოახდინეს კონფისკაცია ალექსანდრე ნეველის ტაძრის მთელი ქონებისა რომელიც 2 მილიონი მანეთის ღირებულობას წარმოადგენს.

საერთო მდგომარეობა პეტროგრადში.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ იქ სრული ანარქიაა. ძარცვა-გლეჯას კვლელობა სცვლის, რომელსაც ადგილი აქვს დღისითაც, ქუჩაში. ქალაქში განათება სრულებით არ არის და საღამოთი ქალაქი წყვდიადშია გახვეული. საქონლის ავტომობილები, დაზიანებული, ნევის პროსპექტზე ყრია, და არავინ ცდილობს მის აღებას და ქუჩების გაწმენდას. სათბობი მასალა სრულებით არ არის და მცხოვრებლები ბინებზე თბილად ჩაცმულნი სხედან. ტრამვაი არ მუშაობს და თუ რომელიმე ქუჩაზე მოძრაობაა, იქაც დიდი ვაი-ვაგლახით. ვიდრე ვაგონი დაიძვრებოდეს, ვატმანები მთელი საათობით სწმენდენ ლიანდაგზე თოვლს. სიძვირე საზღაპროდ გაიზარდა: თითო ბატი 170 მან. ფასობს, პატარა ნაჭერ პურს ჯარისკაცები 50 მანეთად ჰყიდიან. ქალაქში სიწყნარეა, ის ძაძით არის მოსილი.

სახადი პეტროგრადში.

პეტროგრადში სახადი მძვინვარებს, საავადმყოფოებში 244 მძიმე ავადმყოფია მოთავსებული. ავადმყოფობა გამოწვეულია უჭმელობით.

წითელი რაზმელების მთავრობა ფინლანდიაში.

ფინლანდიაში ძალა-უფლება წითელ რაზმელებმა ჩაიგდეს ხელთ. უზენაეს მთავრობად ითვლება სახალხო რწმუნებულთა საბჭო, რომელიც სათავეში ფინელი სოც.-დემოკრატი მანერი უდგას. მანერს ლენინმა მისალმებით მიმართა და უსურვა ფინლანდიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის აყვავება.

შვეციის ჯარი.

ვიბორგიდან მოძრაობა ჰელსინგფორსში გადავიდა, წითელ რაზმს სათავეში უდგას თვითონება სეიმის ტალმანი რომელიც კერენსკიმ გარეკა.

ფინლანდიის სენატმა შვეციის სენატს დახმარებისათვის მიმართა. უკანასკნელი ცნობებით უკვე მოვიდა ტორნეოში რამდენიმე რაზმი შვეციის ჯარისა. პეტროგრადში იმის შესახებაც მოვიდა ცნობები, რომ შეტაკება მოხდა ფინლანდიის წითელ რაზმელებმა და შვეციის რაზმის ავანგარდს შორის.

უკრაინა და დონი.

უკრაინის ცენტრ. რადამ აცნობა „ვოისკოვოი“ მთავრობას პეტროგრადში, რომ ის არ გაუშვებს უკრაინის ტერიტორიაზე ჯარს, დონის წინააღმდეგ მომავალს.

ი ა ლ ტ ა.

იალტას ყუმბარებს უშენს სევასტოპოლის ფლოტი. ბოლშევიკებმა ქალაქს [illegible] და 4 ნაღმოსანი [illegible] ქალაქში მრავალი [illegible] ცენტრში.

ურალის ყაზახები.

ურალის და ორენბურგის ყაზახებმა წინადადება მისცენ მაკინკოვს წინამძღოლობა გაუწიოს მათ ძალებს ბოლშევიკების წინააღმდეგ. მათი მიზანია—შეავიწროვონ ბოლშევიკების რკალი და როდესაც ცენტრში დაამარცხებენ მათ, მოსკოვისაკენ გაემართონ. ურალის ყაზახთა მთავარი რაზმები ამ ჟამად სარატოვ-ვორონეჟის მიმართულებით მოქმედებენ.

მოძრაობის შეწყვეტა რკ. გზებზე.

რადგან სამხრეთ რუსეთში სამოქალაქო ომია გაჩაღებული და ამის გამო ნახშირი, ნავთი და საზოგადოდ სათბობი მასალა აღარ იგზავნება ორთქლ-მავალებისთვის, ზოგიერთ რკ. გზაზე მოძრაობა შეწყდა. მაგ., შეწყდა მოძრაობა მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის რკ. გზაზე; ნოვოჩერკასკ-როსტოვ-ტაგანროგის და სხვებზე.

რუმინელები კიშინოვის წინააღმდეგ.

ოდესის სარევოლიუციო კომიტეტი ძალიან შეშფოთებულია რუმინელების მოძრაობით კიშინიოვის წინააღმდეგ და დახმარებას სთხოვა პეტროგრადს და სევასტოპოლს. სევასტოპოლიდან ოდესისაკენ გაემართა დამატებითი ესკადრა მეზღვაურებისა. ლენინისა და ტროცკის ბრძანებით, ეს ლაშქარი, რომელიც ზნამენკიდან და ჟმერინკიდან კიევზე მიდიან, კიშინიოვისაკენ გაემართა. ოდესაში დიდი შიშიანობაა. მცხოვრებლები, რუმინელთა ტერორის მოლოდინში, გარბიან ქალაქიდან.

ბრძოლა კიშინიოვთან.

კიშინიოვის რაიონში ბრძოლა იყო ბოლშევიკების პირველ ეშელონებსა და რუმინელებს შორის, რომელთაც ქალაქი დაიკავეს. ბოლშევიკების ჰაეროპლანები ყუმბარებს ესვრიან რუმინელებს კიშინიოვთან. ბრძოლაში დაიჭრა რუმინიის ოკუპაციის მომწყობი გენ. ბრაძიშტენაუ.

რუმინიის შემოტევა და უკრაინა

უკრაინაში შეშფოთებული არიან რუმინელების მოძრაობით ოდესისაკენ. უკრაინელები თვითონ აცხადებენ პრეტენზიებს ოდესაზე და ამის გამო აპირებენ ოდესის ოკუპაციის შეჩერებას რუმინელთა მიერ.

ახალი ამბავი

◆ **მუშების დათხოვნა.** ამიერკავკასიის რკინის გზათა მოძრაობის უფროსმა ლიბანმა დეპეშით განკარგულება დაუგზავნა განყოფილებათა უფროსებს, რომ 15 თებერვლისთვის უეჭველად გაუსწორდნენ ყველა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც დროებით იყვნენ სამსახურში მიღებულნი ნაცვლად ავადმყოფებისა და დასასვენებლად გაგზავნილ მუშებისა. გარდა ამისა უფროსებს ევალებათ გამოიკვლიონ, თუ რა ადგილს რამდენი მომუშავე ხელია საჭირო, რადგან დღეიდან, რა შემცირდა სამხედრო მატარებლების მოძრაობა, სანიტარების და წყლის ამღებელთა რიცხვი ნაკლები იქნება საჭირო. ამ რიგად ზედმეტი მომუშავენი უმუშევროდ დარჩებიან ამ ახლო ხანში. როგორც გადმოგვცემენ, მათი რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს.

◆ **ძარცვა-გლეჯა.** არზრუმის ოლქის კომისარი გლოტავი კავკ. ქალაქთა კავშირს ატყობინებს, რომ მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების რწმუნებული კაზარ-ალიევი 40 შეიარაღებული კაცით იდის ოლქის ტერიტორიაში შეიჭრა, თავს დაესხა ქალაქთა კავშირის მეორე ტრანსპორტს, გაძარცვა იგი, ხოლო მოსამსახურეებს სცემა და ამიტომ მისი რაზმი ყაჩაღთა ბრბოდ არის გამოცხადებული. ამიერკავკასიის კომისარიატისგან ითხოვს მათ ალაგმვას.

◆ **ახალქალაქის** თვითმართველობა შევიდა სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირში, კავკასიის ქალაქთა კავშირში კი ეს ქალაქი ითვლება 1914 წლიდან.

◆ **სამალიარიო საავადმყოფო.** კავკასიის რკინის გზა სთხოვს კავკასიის ქალაქთა კავშირს სადგურ ბესლანზე არსებულ ლაზარეთის ქონება—ინვენტარი გადაეცეს დროებით სამალიარიო საავადმყოფოს.

◆ **განჯის ამბების გამო** ექიმი მარჯარიანი პირდაპირი მავთულით

ელაპარაკა განჯაში ქალაქთა კავშირის ლაზარეთის უფროსს ექიმს რაფიბეკოვს, რომელმაც გადმოსცა, რომ განჯის ლაზარეთში იმყოფება უკანასკნელ ამბების დროს დაჭრილი 75 ჯარის კაცი. ლაზარეთის მოსამსახურე პირებს უკვე სამი თვეა, რაც ჯამაგირი არ მიუღიათ და ამიტომ სამსახურს გულმოდგინებით არ ეკიდებიან და ხშირად თავსაც ანებებენ. რადგან დაჭრილები უყურადღებოდ არიან დატოვებულნი, ამიტომ განზრახული აქვთ ნაწილი ტფილისში გადმოიყვანონ, ხოლო მეორე ნაწილი განჯის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანონ.

◆ **ქუთაის-სამტრედიის რკ. გზა.** სამტრედიის ქალაქის საბჭომ დაადგინა შეუდგეს ქუთაის-სამტრედიის რკინის გზის აშენებას. უპირატესობას აძლევენ მიმართულებას ხონსა და წყალტუბოზე, რისთვისაც უნდა ააგონ ხიდები რიონსა და ცხენის-წყალზე. საჭირო მასალა დაბარებულია კავკასიის ქალაქთა კავშირისგან.

◆ **სამტრედიის ცხოვრება.** სამტრედიის თვითმართველობამ დაადგინა ამოაშროს ქალაქის ახლო-მახლო ჭაობები და ქუჩები მოკირწყლოს.

◆ **თელავის თვითმართველობამ** დაადგინა შევიდეს სრულიად რუსეთის და კავკასიის ქალაქთა კავშირებში. ასეთივე დადგენილება მიიღო ფოთმა და სამტრედიამ.

◆ **ადგილების შემცირება.** ამიერკავკასიის კომისარიატმა წინადადება მისცა სამხედრო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს კვლავ გადასინჯონ დარჩენილი ადგილების შტატები და ზედ-მეტი მოსამსახურე პირნი დაითხოვონ.

◆ **ეშელონები.** სარაყამიშში მყოფი ეშელონები ალექსანდროპოლში მივიდნენ. ბოლშევიკებმა ყოველნაირი ზომები მიიღეს, რათა ეშელონები ალექსანდროპოლში შეეჩერებინათ, მოეგროვებინათ დიდი ძალა და მერე წამოსულიყვნენ ტფილისისკენ ამიერკავკასიის კომისარიატის ჩამოსაგდებად. მაგრამ ბოლშევიკების აგიტაციამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო. ეშელონები ცოტა ხანს ისვენებენ და მგზავრობას განაგრძობენ. ბოლშევიკ აგიტატორებს ან ყურს არ უგდებენ, ან პირდაპირ ეუბნებიან, ომით დაღალულებს სახლში გვინდა წასვლა და არავითარი სურვილი არა გვაქვს ახალი, შარისი ომი დავიწყოთო.

◆ **სომხების მზადება.** სომხების ეროვნული საბჭო აცხადებს, მთავარსარდლის ბრძანება სასწავლებელთა განთავისუფლების შესახებ სამხედრო ბეგარისაგან სომხებს არ შეეხებაო.— არსდება ახალი სომხური პოლკები: ლორისა, ერევნისა, ყარსისა, ალექსანდროპოლისა და ბაქოსი; ბატალიონები: ახალციხისა, განჯისა, ნახიჭევანისა და ნუხისა.

◆ **საფუთო გადასახადის დაწესება.** კავკასიის ქალაქთა კავშირის კომიტეტი შუამდგომლობს ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე, რადგან ქალაქების შემოსავალმა იკლო და შეიქმნა ერთგვარი ფინანსიური გასაჭირი, ამიტომ დაუყოვნებლივ შემოღებული იყოს საფუთო გადასახადი ამიერკავკასიის ყველა ქალაქებში ყველა იმ საქონელზე, რაც პირველ საჭიროებას არ წარმოადგენს და ქალაქში შეაქვთ ან და გამოაქვთ. ასეთი შუამდგომლობა ახალი არ არის. წარსულ ზაფხულს დროებითმა მთავრობამ ნება მისცა ამ გადასახადის დაწესებისა ტფილისსა და გუმბრს. დეკემბერში ქალაქთა მეექვსე ყრილობამაც დაადგინა, რომ ეს გადასახადი ყველა ქალაქში იქმნეს შემოღებული. უკანასკნელი შუამდგომლობა წინანდელებისგან იმით განსხვავდება, რომ ეხლა ითხოვენ, რომ გადასახადი ვადით (10 წლით) არ იყოს და გადასახადით შემოსულ თანხას სპეციალური დანიშნულება არ ჰქონდესო.

◆ **პავლე ინგოროყვას მოხსენება.** დღეს, საქართველოს ეროვნული საბჭოს დარბაზში (ფრეილინის ქუჩა, № 11) გაიმართება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომა, რომელზედაც პავლე ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას— **ტერიტორიული საკითხების შესახებ.** მოხსენების პროგრამა: 1. საქართველო-სომხეთის ეროვნულ-ტერიტორიული გამიჯვნის საკითხი., 2. საქართველო ადერბეიჯანის საზღვარი: ყაზახისა და ქვემო-ყარაიას ველის საკითხი. **საზოგადოების საბჭო სთხოვს ქართულ პოლიტიკურ დასების წარმომადგენლებს დაესწრონ მოხსენებას.** ბარათები არავის დაეგზავნება. მოხსენებაზე დასწრება გარეშეებსაც შეუძლიათ. დასაწყისი სხდომისა საღამოს ექვს საათზე.

◆ **ფულის სპეკულაციის აკრძალვა.** ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც იკრძალება სპეკულაცია ფულის ნიშნებითა და ბონებით და მსხვილ კუპიურების ბილეთების წვრილ კუპიურების ბილეთებზე დახურდავების დროს საფასის აღება; აგრეთვე იკრძალება ამიერკავკასიის კომისარიატისგან გამოცემულ ბონების არსებულ კრედიტებთან შედარებით ფას-დაკლებით მიღება; ამ დადგენილებათა დარღვევაში ბრალდებული ისჯება ან ერთი წლის ციხით ან ათი ათას მანეთის ჯარიმით. ასეთ საკითხების გარჩევა იქ, სადაც შექმნილია სარევოლუციო ტრიბუნალი, ევალება ამ დაწესებულებათ, დანარჩენ ადგილებში—არსებულ ადმინისტრაციას.

◆ **ერეკლე მეფის გასამართლება.** ახლო მომავალში ქართული კლუბის დარბაზში გაიმართება ერეკლე მეფის გასამართლება.

◆ **ოსმალთა გამოლაშქრება.** შატილოვი იუწყება: 31 იანვარს ოსმალოაჩინეს იერიშები ერზინჯანთან, რის შემდეგ შეუდგნენ საწყობების მოსპობას და ქალაქის ევაკუაციას. უკან დახევის დროს ჩვენს ერზინჯანის რაზმს მოუხდა მოგერიება იერიშებით წამოსულ ქურთებისა, რომელთაც მთლად გადასწვეს ყველა ის ხის ხიდები, რომელიც შარა გზაზე იყო გაშენებული. ათას ლტოლვილში ნახევარი ამოწყდა. ოსმალოებმა დაიჭირეს სოფელი სოლუკი, რომელიც იმყოფება მუშის ჩრდილოეთით 15 ვერსის მანძილზე.

◆ **ყუბანის მთავრობა** ატყობინებს ამიერკავკასიის კომისარიატს, რომ 22 და 25 იანვარს და 3 თებერვალს ამ მთავრობამ სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციის ნოვოროსიისკში დაუგზავნა ასეთი დეპეშები.

პირველი. (22 იანვ.) ყუბანის მთავრობა სთხოვს აცნობოს მოსახლეობას და ფრონტიდან გზად მომავალ ჯარებს, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას წესიერება მთლად ყუბანის მხარეში და ქალ. ეკატერინოდარში, და მიზნად აქვს დასახული მოიწვიოს ადგილობრივი საყოველთაო დამფუძნებელი კრება. დღეს ნოვოროსიისკიდან მოსულმა ბოლშევიკებმა მოიწადინეს მოქალაქობრივი ომის გაჩაღება და ეკატერინოდარის ხელში ჩაგდება, მაგრამ მთავრობა ამას ეურჩა და ეს წადილი ძირშივე ჩაჰკლა. ყუბანი მტკიცედ ადგია იმ აზრს, რომ იგი არ ჩაერევა ჩერნომორსკის გუბერნიის საქმეებში, მხოლოდ მოითხოვს იქაურ თათრებისგან ასევე არ ჩაერიონ ყუბანის საქმეებში და ყუბანის მთავრობის და კანონმდებელ რადის მუშაობაში. ეს რადა ნახევარზე მეტად სოციალისტებისაგან შესდგება, შიგ შედის 46 ყაზახისა, 46 სხვა ქალაქებისა და 8 მთიულისგან. მთავრობა პირობას აძლევს, თუ გაფრთხილებ[illegible] მიიღებს ვისგანმე, უეჭველად სურსათით დააკმაყოფილებს შინ მიმავალ ჯარებს როგორც ეკატერინოდარის გზით, აგრეთვე სადგურ ტიმაშევსკიდან.

მეორე და მესამე დეპეშა პირველის გამეორებაა. ახალი მხოლოდ ისაა, რომ ბოლშევიკებს ხელთ ჩაუგდიათ რკინის გზის შემდეგი შტოები: კრიმსკაია-ეკატერინოდარ-ტიმაშევსკაია, რის გამოც შესწყდა როგორც სამგზავრო, აგრეთვე საბარგო მოძრაობა. ამ მიზეზის გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ როგორც ნოვოროსიისკის მცხოვრებნი, აგრეთვე შინისკენ მიმავალი ჯარები. ეშელონები, ფრონტიდან რომ მოდიოდნენ, უვნებლად გადარჩნენ, რადგან ბოლშევიკებმა ხიდი მათი გავლის შემდეგ ააფეთქესო. სამივე დეპეშა ხელმოწერილია ბიჩისაგან.

◆ **ბათომიდან** იუწყებიან, რომ არავითარი საჭიროება არ შექმნილა იქაურ მცხოვრებთა ევაკუაციისათვის, რადგან ბათომს შიში არსაიდან არ მოელის, საჭიროა მარტო ვაგონები, რომ მანქანები და საქონელი ბათომიდან უადგილობის გამო დროინდად გაიტანონ.

◆ **სამხედრო წესები.** გამოცხადდა ქალ. გორში.

◆ **მუშათა ცენტრის** სხდომა დანიშნულია დღეს სახალხო თეატრის დარბაზში საღამოს 5 საათზე.

◆ **გ ძარცვა.** 3 თებერვალს ღამით ვიღაც უცნობნი, მივიდნენ პუშკინის ქუჩაზე სასტუმრო „ცენტრალ"-ის პატრონთან კუიუნჯიანთან, წაართვეს ფულად 225 მ., ოქროს საათი, სცემეს და შემდეგ მიიმალნენ.

◆ **დატუსაღება** მილიციის უფროსმა დაატუსაღა წესიერების დარღვევისა და პოგრომების აგორებისათვის პოგრებნოვი და შაგურამოვი.

◆ **სხდომა.** 8 თებერვალს, საღამოს 5 საათზე სასახლეში მოხდება სხდომა შრომის კომისარიატთან არსებულ სათათბიროსი.

◆ **შრომის კომისარიატმა** ცირკულიარით დაავალა ყველა შრომის კომისარს სასტიკი თვალყური ადევნონ იმ დებულებას, რომელიც გამოიცა წარსული წლის 25 ივლისს დაგება მუშების უზრუნველ ყოფას ავადმყოფობის დროს.

◆ **მუსულმანების გაზეთი.** 3 თებერვალს გამოვიდა ტფილისში მუსულმან სოციალისტთა გაზეთის „ალ-ბაირადის" (წითელი დროშის) პირველი ნომერი.

შეცდომის გასწორება

ბ-ნ ნუცაიძის წერილში სწერია, რომ ბ-ნ ივ. ეჩაზაშვილმა ლეღვას სკოლას შესწირა 500 მან., უნდა იყოს 5000 მანეთი.

სოფლად და ქალაქად

ქ. ფოთი.

◆ 27 იანვარს მუშათა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაარსა რევოლუციონური ტრიბუნალი 8 კაცისაგან და საგამომძიებლო კომისია სამი კაცისაგან: ერთი ბრალმდებელი და ორი მისი ამხანაგი; რევოლუციონური ტრიბუნალის პრეზიდიუმში შედიან: თავმჯდომარე ალ. კორძაია და ორი ამხანაგი: მ. ჩხაკია (სოც.-ფედ.) და სამ. კირტაძე. მდივნის მოწვევა მინდობილი აქვს პრეზიდიუმს. წესდება იგივეა რაც ტფილისის რევოლ. ტრიბუნალისა. რევოლ. ტრიბუნალი საქმეებს გაარჩევს ქალაქის თვითმართველობაში საჯაროდ.

◆ 29 იანვარს ელექტრო თეატრ „კომეტა"-ში გაიმართა სოც.-ფედ. სასარგებლოდ ქართულ-უკრაინული სპექტაკლი. მაყურებელი ხალხი დაესწრო. სპექტაკლი მშვენივრად ჩატარდა და მოლოდინს გადააჭარბა. წმინდა შემოსავალი 1000 მან. უდრის.

მუშათა ცხოვრება

— **საოლქო შტ.-ბის სტამბის** მუშებმა შუამდგომლობა აღძრეს, რომ გაუდიდონ მათ პროცენტი, რომელიც ეძლეოდა მათ წმინდა შემოსავლის მიხედვით. ამისთვის აარჩიეს კომისია, რომელიც საკითხს აღძრავს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ყველა მუშები კერძოდ დაქირავებულებად ჩარიცხონ და გაავრცელონ მათზე პროფესიული კავშირის ტარიფი.

სკოლა მუშებისთვის. 1 თებერვლიდან მე 6 გიმნაზიის შენობაში ([illegible]ლინი ქ.) გაიხსნა საღამოს სკოლა მუშებისათვის. ჩაწერა შეიძლება 5—6 ს. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმე დღეებისა.

— **შრომის ბირჟა**, ქალაქის შრომის ბირჟის მოღვაწეობა 15-დან 20 იანვრამდე შემდეგ სურათს წარმოადგენს. ბირჟაზე გამოცხადდა 1364 უმუშევარი, რომელთაგან 615 იყო მამაკაცი, ხოლო 746—ქალი ამათგან სამსახურში ჩააყენეს 15 ადგილობრივ, ხოლო 5 გაგზავნეს ტფილისის გარეთ.

— **ხელოსანთა წოდების გაუქმება.** ტფილისის პროფესიულ კავშირთა საბჭოს 31 იანვრის სხდომაზე განიხილეს ხელოსანთა წოდების საკითხი და დაადგინეს, რომ გაუქმებულ იქმნას ხელოსანთა წოდება და აგრეთვე ხელოსანთა გამგეობა.

— **კოლექტიური ხელშეკრულებები.** კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბ. ოლ. კომიტეტის თავმჯდომარემ აზატიანმა წერილი დაუგზავნა კავკასიის ყველა პროფესიულ კავშირს, სადაც განმარტებულია კოლექტიური ხელშეკრულების უპირატესობა და მნიშვნელობა მუშათა ცხოვრებაში. ის უგზავნის აგრეთვე სქემას ასეთ ხელშეკრულებისა და ურჩევს შესცვალონ პიროვნული ხელშეკრულება კოლექტიურით.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

მოწაფეთა კრება. დღეს, საღ. 6 საათზე პარტიის კლუბის დარბაზში (ლორის მელიქოვის ქ. № 1) დანიშნულია სოც.-ფედ. მოწაფეთა საერთო კრება დაესწრებიან ქუთაისიდან ჩამოსული ამხანაგები. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ს. ფირცხალავა.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, პარტიის კლუბის დარბაზში (ძველი სემინარიის შენობა) დანიშნულია ტფ. საგუბერნიო კომიტეტის კრება ამხანაგებს დაბეჯითებით ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ და ნურც დაიგვიანონ.

ქალების კრება დღეს საღამოს 6 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნულია ქალების კრება. ამხანაგ ქალებს გთხოვთ უეჭველად დაესწრონ ამ კრებას, რადგანაც დღეს საბოლოოდ უნდა შემუშავდეს გეგმა ჩვენი მონაწილეობისა ქართულ ჯარის საწყობებში.

სამხედრო პირთა კრება. პარასკევს 9 თებერვალს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საერთო კრება ოფიცრებისა და ჯარის-კაცებისა. გთხოვთ ყველანი უეჭველად დაესწროთ.

არეულობა ამიერკავკასიაში

ყამარლიუდან სომხ. პარტიზანულ რაზმის კომანდირი იტყობინება, რომ 28 იანვარს ქურთები და თათრები თავს დაესხნენ იმ ობოზებს, რომელნიც არალიხისკენ მიდიოდნენ ალი ყიზილიდან კომისარი დრო იუწყება, რომ მან გამართა სამშვიდობო მოლაპარაკება მაჰადიანთა დელეგაციასთან. თუ მოლაპარაკებამ ნაყოფი არ გამოიღო, მაშინ ეს რაზმი იძულებული იქნება დაიჭიროს პოზიცია მდ. არაქსზე.

ერევანი. ოვანესიანი იუწყება: 2 თებერვალს ბაშ-ნორაშენისა და შახტახტის სადგურებს შუა სამგზავრო მატარებელი ლიანდაგის გაფუჭების გამო დაიმსხვრა. ეს ნახიჩევანისკენ მიმავალი მატარებელი შეიქმნა თათრების თავდასხმის მსხვერპლად. შეიარაღებული თათრები ყოველ მხრივ შეესივნენ მატარებელს და ძარცვა დაუწყეს მგზავრებს. ი. ყაჩაღებსა და მგზავრებს შუა ასტყდა სროლა, რომლის დროს ბევრი დაიხოცა და დაიჭრა. ოვანესიანის ფიქრით, მატარებლის დამსხვრევა გაძარცვის განზრახვით არის გამოწვეული.

განჯიდან ფადავა იტყობინება, რომ გაისტუმრა თუ არა ეშელონები ბაქოსკენ, სადგურს შემოესია მაშინვე ათი-ათასი შეიარაღებული თათარი და დაუწყო ძარცვა რკინის გზის ქონებას. მაჰადიანთა ცენტრალური კომიტეტი და თავდაცვის კომიტეტი ჩაერივნენ, მაგრამ ჯერ ნაყოფი ვერ მოიტანა მათმა ჩარევამ. მოსამსახურენი სამსახურს თავს ანებებენ. არიან დაჭრილნიც და მოკლულნიც. ნაწილი ჯერ არ აუკრეფიათ.

ხაშურიდან ჟორჟოლიანი იტყობინება, რომ 5 თებერვალს, როცა დედაქალაქიდან წამოსული წითელი გვარდია ხაშურის ქუჩებზე მშვიდობიანად მიემართებოდა, გაისმა პროვოკაციული სროლა, რომლითაც ერთი წითელ გვარდიელი მძიმედ იქმნა დაჭრილი. ამის გამო ასტყდა სროლა, დაიჭრა მარტო ერთი მოქალაქე, ქალაქი დაწყნარებულია. დატყვევებულ იარაღს ხალხი თავის ნებით აბრუნებს. ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული. 6 თებერვალს გორის მაზრაში ბოლოს დროს გახშირებულ მკვლელობის გამო იმართება სხვა და სხვა ორგანიზაციების ყრილობა.

თავდასხმა. სანდარიდან აგენტი ქუთათელაძე იტყობინება, რომ სამხედრო მატარებელს № 638, რომლითაც ქართველი ჯარისკაცები მოდიოდნენ, თათრის ბრბო თავს დაესხა, წაართვა თოფი, იარაღი და სხვა ნივთები. მკვლელობის შემთხვევები არ ყოფილა.

მუშებს!

ამხანაგო მუშებო! ჩვენ დღეს ვდგავართ უდიდეს საფრთხის წინაშე იმ ცეცხლმა რომელიც ჩრდილო რუსეთს ედება და უკიდეგანო კიდევ, ეხლა ჩვენშიაც იჩინა თავი და ლამის მთელი ჩვენი სამშობლო ცეცხლის ალში გახვიოს, გადასწვას, გაანადგუროს ჩვენი სატრფიალო საქართველო. ეხლა გვმართებს დაუმტკიცოთ ჩვენს ხალხს სიყვარული არა მარტო ენით, არამედ საქმით, მოქმედებით, საკუთარი მსხვერპლით.

დიახ, ამას თხოულობს დღევანდელი მომენტი, რომელიც სიკვდილის მახვილით შორიდგან გვაშინებს, გვიქადის წლეკვას, განადგურებას. შორსავე უნდა ჩავქროთ. მოუსპოთ ძალა ჩვენზე მოიხლოებისა. და მით ავაცდინოთ ჩვენ სამშობლო მხარეს დარბევა, დაქცევა განადგურება. ამას მხოლოდ შევსძლებთ შეგნებული მოქმედებით. გვიხსნის შეერთებული ძალა როგორც გონებრივად, ისე ფიზიკურად. ყველა ქართველი მუშის ვალია და საერთოდ მათი, ვისაც სამშობლო ოდნავ მაინც უყვარს და ინტერესებს მისი კეთილდღეობა, ხელთ ავიღოთ იარაღი, ბრძოლით წინაღმდეგობა გაუწიოთ მათ, ვინც არ დაინდობს ჩვენ სამშობლო ქვეყანას, ძირს გამოუთხრის რევოლუციით მონაპოვარ თავისუფლებას.

ჩვენ გვმართებს ძალიან სიფრთხილე დაკვირებული გზით სიარული, არ უნდა დავენდოთ ყველას მათ ვინც ლამაზ ფრაზებიან სიტყვას გადმოგვისვრის, არ დავქსაქსოთ ჩვენი ძალები. სხვამ იარაღად არ გვიხმაროს. იარაღი საკუთარი ბოროტად არავინ მოვიხმაროთ. მაშასადამე ხსნა დაცვა საფრთხისაგან ჩვენი სამშობლო მხარის დამოკიდებულია მშობელი ერის შვილებზე.

მუშა ევხევი ქავლიშვილი.

სომხური პრესა

ეროვნული საბჭოების შესახებ დაშნაკელების ორგანო „ჰორიზონი" სწერს:

„ეროვნული საბჭოების საკითხი უკვე საჯარო მსჯელობის საგანი გახდა. ეროვნულ საბჭოებზე ლაპარაკობენ რევოლუციონური ცენტრები; მით არის დაინტერესებული პრესაც. უკვე გამოირკვა ვინ არის მათი მომხრე და ვინ წინააღმდეგი. დამახასიათებელია ს.-დემ. მენშევიკების და ს.-რევ. პოზიცია ამ საკითხში. იმ დროს როდესაც ჟორდანია და ჩხენკელი საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელები არიან, გეგეჭკორი, ჯუღელი და სხვები სასტიკ ბრძოლას აწარმოებენ ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც სოც. რევოლუციონერთა ლიდერები რუსულ ეროვნულ საბჭოებს ხელმძღვანელობენ, ამ პარტიის მრავალი წევრი ეროვნული საბჭოების საწინააღმდეგო პოზიციაზე დგანან, იგივე ქაოსი აზროვნებისა სუფევს რევოლუციონურ საბჭოებშიც.

ჩვენ გვგონია, რომ უნაყოფოა ამოდენი ენერგიისა და დროს ხარჯვა ამ საკითხის გარშემო კამათისათვის და, საზოგადოდ, ნაადრევიც არის მის შესახებ რაიმე დადგენილების გამოტანა. ეროვნული საბჭოები კერძო პირების სურვილით კი არ არის შექმნილი, რომ შეიძლებოდეს მათი გაუქმება ხელოვნურად ან არსებობის უფლების მინიჭება. ეროვნული საბჭოები შედეგია იმ პოლიტიკური მდგომარეობისა, რომელიც დამყარდა ჩვენში, ამიერკავკასიაში, და პირველ ყოვლისა გამოწვეულია ავტორიტეტული მთავრობის უქონლობით.

ეროვნულმა საბჭოებმა არსებობის უფლება მიიპოვეს მაშინ, როდესაც გამოირკვა, რომ კავკასიის უზენაესი მთავრობა, ამიერკავკასიის საგანგებო მთავრობა (ოზაკომი), წარმოადგენდა არა საერთო სახელმწიფოებრივ მთავრობას, არამედ კრებულს ეროვნებათა წარმომადგენლებისა.

ოზაკომში საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის უმთავრობობას, რომელიც დიდის სისწრაფით ვითარდებოდა და მოგვიყვანა დღევანდელ კომისარიატამდე, რომელიც ფაქტიურ მთავრობას წარმოადგენს, რომელსაც არა თუ მთელ ოლქში, ოთხი კედლის საზღვრებშიც არა აქვს გავლენა.

ასეთ პირობებში ყველა გამჭრიახი ელემენტი, რომელიც მომხრეა წესიერებისა და მშვიდობიანობის, ბუნებრივად მიისწრაფვის იქითკენ, რომ დაირაზმოს ანარქიასთან საბრძოლველად. ამგვარი მისწრაფების და აზროვნების შედეგია ეროვნული საბჭოები, რომელთა მიზანი სხვისი ძალა-უფლების დაპყრობა კი არა, ახალი მოწესრიგებული ძალის შექმნაა წესიერების დასაცავად და ჭეშმარიტ სახელმწიფოებრივ მთავრობის მოსაწყობად.

თუ ასეთი მდგომარეობა, საჭიროა არა ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ იმ პირობების, რომელთაც ეს საბჭოები წარმოშვეს. მოისპო მიზეზი, და თავისთავად მოისპობა შედეგიც. ამის გამო ჩვენთვის გაუგებარია ის იერიშები, რომელიც ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ მიაქვთ. მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ იბრძვიან ეროვნულ საბ. წინააღმდეგ ამიერკავკასიის კომისარიატის ზოგიერთი წევრები, რომელნიც ყველაზე უფრო ხელს უწყობენ ეროვნული საბჭოების გაძლიერებას და ყველაზე უფრო ხშირად მიმართავენ მათ დახმარებისათვის.

სამართლიანი არ არის ზოგადი საკითხად დასმა ეროვნულ საბ. სარგებლიანობის და მავნებლობისა, რად იქცევიან ისინი ხვალ, ჩვენ არ ვიცით. დღეს კი მათ დადებითი მნიშვნელობა აქვთ და ჩვენ მით უნდა ვისარგებლოთ. თუ ხვალ ისეთი სახელმწიფოებრივი ძალა შეიქმნება, რომ საბჭოების მოღვაწეობა საჭირო აღარ იქნება, თავისთავად მოისპობა და გაუქმდება ეროვნული საბჭოები ან საკულტურო დაწესებულებად იქცევა.

ერთი კი ცხადია. ეროვნული საბჭოები დემოკრატიის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყვნენ და არ უნდა გასცილდნენ დემოკრატიის ფარგლებს. მათ უნდა [illegible] სოლიდარობის ნიადაგზე და უნდა ებრძოლონ ყოველგვარ შოვინისტურ და სეპარატისტულ იდეას. ამ საკითხში რევოლუციონური ცენტრები შეუბრალებელი უნდა იყვნენ და არაფერი დასთმონ. მათ არ მისცენ ნება, რომ ეროვნული საბჭოები ვიწრო—ნაციონალისტური და კონტრ-რევოლუციონური მოღვაწეობის ასპარეზად იქცნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცის წერილები

შეგნებული ნაბიჯი.

ყველას მოეხსენება, ვინც ჩვენ ჯარს ადევნებს თვალყურს, რომ სოფ. სართიჭალაში დაბანაკებულია ქართ. სამთო-ცხენოსანთა ბატარეა. ვინც დაახლოვებით იცნობს ამ ბატარეის შემადგენლობას, მას იმედი არ დაეკარგება ჩვენი ჯარის კვლავ აღდგენისა. აქაური ჯარისკაცები არ გვანან ზოგიერთ ქართველ პოლკებში მცველ მეომრებს, რომლებიც მძარცველთა ბრბოს უფრო წარმოადგენენ ვიდრე ნამდვილ ქართველ ჯარისკაცებს. აბა რასა გავს გორში მომხდარი ამბები? განა იქ მოკალათებული ნაწილი ქართ. ჯარისკაცებისა ჩირქს არ სცხებს მთელ ჩვენ ერს? მაგრამ იმათზე ხომ ლაპარაკიც არა ღირს, ისინი ხომ ყაჩაღთა ბრბოთ გადაქცეულან. სულ სხვა არის ზემოთ დასახელებული ბატარეის ჯარისკაცები, ესენი მართლაც რომ წესიერად იქცევიან. ავიღოთ თუ გინდ ერთი მაგალითი: ოცდა ხუთ წელს ზევით ვინც იყო, ისინი შინისაკენ გაისტუმრეს უიარაღოთ, მართალია პირველ ხანებში გაიძახოდნენ ყველას თუ მიაქვს იარაღი, რატომ ჩვენ არ უნდა წავიღოთო, მაგრამ მაზე გასჭრა შეგნებულმა სიტყვებმა მათ შეიგნეს დღევანდელი მოქმედება და უარი განაცხადეს იარაღით შინ წასვლაზე, იმ დროს როდესაც სხვა ნაწილებში ძალით იტაცებენ და ათას ძალადობას ჩადიან ისევ თავისიანებში. მაგრამ ამაზე მეტად, მე მინდა აღვნიშნო ერთი კულტურული საქმე, რომელსაც ფესვი ჩაუყარეს აქაურმა ჯარისკაცებმა ამხანაგ ხარაიძის მეთაურობით. სახელდობრ დააარსეს ადგილობრივ მცხოვრებთა დახმარებით დრამატიული წრე. წრეში მოვალი ეწყობა წევრად. გამგეობაში შედის 7 კაცი ოთხი ბატარეიდან და სამი ადგილობრივ მცხოვრებიდან. ჯერ-ჯერობით გამგეობა ენერგიულად მუშაობს და სისტემატიურად სდგამენ პიესებს ყოველ კვირას. მართალია შენობა არა გვაქვს სამისო, მაგრამ დროებით აქაური გერმანელი კოლონისტების შკოლაში ვწყობთ წარმოდგენებს, შემდეგში აქაური საზოგადოება შეგვპირდა შენობას, რომელიც შესაკეთებელია; თუ იქ მოვაწყეთ, მაშინ უფრო გაგვიადვილდება მუშაობა. სეზონი გაიხსნა ყაზბეგის „არსენათი", რომელსაც მოჰყვა დივერტისმენტი, მოულოდნელად ტეხნიკურ დაბრკოლებათა, პიესა გვარიანად ჩატარდა. აღსანიშნავია ამხ. ხარაიძის ენერგიული მუშაობა, რომელიც რეჟისორადაა ამორჩეული. მეორე წარმოდგენა კვირას 28 იანვარს გაიმართა, დადგეს გიორგი ერისთავის კომედია „ძუნწი" და ერთმოქმედებიანი „დაჭრილი ორბი", საერთოდ უნდა აღვნიშნო რომ კომედიის დადგმა უფრო ეწყობა ვიდრე დრამისა, სცენის მოყვარეთა შორის აღსანიშნავია თვით რეჟისორი ხარაიძე, ალექ. ჩერქეზიშვილი (ეს უკანასკნელი საუცხოვოა კომიკურ როლებში) და ქალ. ანიკო ბარძიმაშვილის ასული. დანარჩენებიც ხელს უწყობენ, რაც შეუძლიათ. მომავალი წარმოდგენა გაიმართება სოფ. ხაშმში, წარმოადგენენ „ბატონსა და ყმას" ი. ჭავჭავაძისა და „ძუნწს". მე აღტაცებული ვარ ხალხის გულმხურვალობით წარმოდგენის საქმეში. დარბაზი ყოველთვის სავსეა და ბევრი გარედ რჩება უადგილობის გამო.

განზრახულია მოკლე დროში მოვაწყოთ სკოლა, სამკითხველო და ლექციები.

ჯემბო.

დედაქალაქის საბჭო

5 თებერვალი.

სხდომა საბჭოსი დანიშნულ ვადაზე იხსნება ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით.

უფერულია დღევანდელი სხდომა იმიტომ, რომ თვით საგნებიც

რომელთა გამო ბჭობენ ხმოსნები, რადაც ჩვეულებრივ საგნებად იქცნენ, დაჰკარგეს თავიანთი სიმწვავე და გაპიროვნებით მდიდარ ცხოვრებაში თავისთავად ნაგულისხმევ შედეგად ითვლებიან.

ასეთი საკითხია სათბობ მასალის კრიზისი ჩვენს დედაქალაქში. როგორც მოურავი ნ. ჟღიავა მოახსენებს საბჭოს, ქალაქის გამგეობას, იმ კომისიასთან ერთად, რომელიც სათბობ მასალით ქალაქის უზრუნველყოფაზე ფიქრობს და მუშაობს, ცნობაში მოყვანილია რაოდენობა ასეთ სათბობ მასალისა (შეშეთი, ნავთი, ბენზინი) და მიმდინარე თვის პირველში აღმოჩენილა, რომ ეს მასალა დედაქალაქს ეყოფა მხოლოდ ოცდასამ დღეს. ამის მერე ქალაქში, თუ დროზე არ მოუვიდა მასალა, ბნელი უკუნეთი უნდა გამეფდეს.

საბჭო ამ დღის სხდომაზე ცდილობს, როგორმე დაუკარგოს ამ გასაჭირს თავის სიმწვავე და უნდა ყველაფერში, სადაც კი ხელი მიუწვდება, ეკონომია გასწიოს. ღონისძიებანი ასეთია: ტრამვაის მოძრაობისთვის მასალა 75 პროცენტით შემცირდეს. ეს კი მაშინ მოხერხდება, თუ მოძრაობა ტრამვაისა დილის 8 საათსა ან ცხრისნახევარზე დაიწყება. ისიც იმ შტოებზე, რომელნიც სადგურისკენ მიდიან. რაც შეეხება მეორეხარისხოვან შტოებს, როგორც არის დიდუბის და ნაძალადევის შტოები, აქ მიმოსვლა ტრამვაის ვაგონებისა სრულებით უნდა შეწყდეს.

თეატრებს და სხვა გასართობ დაწესებულებათ სათბობი მასალა უნდა შეუმცირდეთ ნახევრად, ე. ი. 50 პროცენტით. აგრეთვე უნდა შეუმცირდეს ენერგია ფაბრიკებსა და ქარხნებს იმ პირობით კი, რომ მოსამსახურეთა რაოდენობა არ შემცირდეს, რადგან ასეთი ეკონომია ენერგიისა დროებითი ზომაა თავიდან ასაშორებლად იმ გასაჭირისა, დედაქალაქს რომ მოელის სათბობ მასალის სიმცირის გამო.

საბჭო შეეხო აგრეთვე სხვა და სხვა „ფინჯან ჩაის“, რომელთა რიცხვი საოცრად გაიზარდა. საბჭო აღნიშნავს, რომ ეს „ფინჯანი ჩაი“ მეტ წილად სპეკულიაციო მიზნებს ემსახურება [illegible] გაჭირვებულ ცხოვრებით ნიადაგ-მოშლილ ღარიბ ხალხს აღიზიანებს და უკმაყოფილების გრძნობებს უნერგავს: [illegible] რომ არაფერი იშოვება, ამ „ფინჯან ჩაიში“ ყველაფერი თავზე საყრელია. საბჭო ადგენს—ასეთ დაწესებულებათ მიეცეთ მხოლოდ დღიური ენერგია.

ამ საერთო ეკონომიის შემოღების [illegible] საბჭომ უცვლელად დასტოვა [illegible] წყალსადენი: ამის ენერგია [illegible] არ შეუცვლა.

[illegible] ამისა საბჭომ დაადგინა: [illegible] ზომები მიიღოს, რათა [illegible] შემოზიდული იყოს დედაქალაქში ქვანახშირი და ისე ნახშირი.

[illegible] არ იყოს, ხმოსნებს [illegible] კიდევ ერთი საკითხი: ორი მოსამართლის არჩევა დედაქალაქისთვის, რომელთა დანიშნულება [illegible] გარჩევა და დამარაგება [illegible] დროის [illegible].

[illegible] გარშემო აზრთა მცირე [illegible] სწარმოებს. ერთი ნაწილი [illegible] მოითხოვს, რომ მომრიგებელ მოსამართლეებად უნდა აირჩიონ ის პირნი, რომელთაც ადგილობრივი ენები (ქართული, სომხური) [illegible], ხოლო მეორე ნაწილი (განსაკუთრებით ხმოს. გრუზენბერგი) ამბობს, რომ დედაქალაქის მცხოვრებთა საშუალო ენად რუსული ენა [illegible] და ამიტომ ადგილობრივ [illegible] ცოდნა დღეს არა ჩანს მოსამართლეებისათვის მაინც და მაინც [illegible] არ უნდა იყოსო.

[illegible] მოჰხდა არჩევნები. მომრიგებელ მოსამართლეებად აირჩიეს [illegible]: მირიანაშვილი, [illegible] მოსამართლე, რომელმაც [illegible] 41 თეთრი კენჭი და არც [illegible] და ტერ-მარტიროსიანი, [illegible] 43 თეთრი კენჭი მიიღო, [illegible] არც ერთი.

[illegible] არჩევნებისა საბჭო შეუდგა [illegible] წერილმან საკითხების გარჩევას. ამ საკითხებს უკამათოდ [illegible] იღებენ დედაქალაქის ხმოსნები. ასეთი საკითხები: [illegible] რეკვიზიციის საქმეებზე მომუშავეებისთვის საჭმლის ფულები, [illegible] ასი მანეთი, ხუთიოდე მან. [illegible] საკითხი [illegible] საბჭო ადგენს, თანახმად ქალაქის გამგეობის შუამდგომლობისა, უმცროს მილიციონერს თვითოს მიეცეს თვეში 250 მან., უფროსს—300 მანეთი პირველ დეკემბრიდან, ხოლო კომისარს 350 მ. მუქთა ბინის გარდა და მის თანაშემწეს 325 მანეთი პირველ იანვრიდან.

სხდომა იხურება 11 საათზე.

ქართველ ჯარის-კაცების საყურადღებოდ

ჩვენი სამშობლო და თავისუფლება დიდს განსაცდელშია. ანარქიამ იმდენად იჩინა თავი, რომ ლამის აუარებელი მსხვერპლით მოპოვებული თავისუფლება ხელიდგან გამოგვეცლიჯონ. ესეთი მდგომარეობა სამშობლოს და ერს დიდს განსაცდელში ჩააგდებს. თავისუფლების შესარჩენად და ერის დასაცავად აუცილებლად საჭიროა ჯარი. სამშობლო იმარჯვებს თუ მას ერთგული მებრძოლნი ეყოლება, რევოლიუცია და თავისუფლება მაშინ აზობოქრდება და გადალახავს იმ არეულობას, სადაც მრავალი ერი იტანჯებოდა როდესაც მას ხელს შეუწყობენ და ირგვლივ მედგრად დაიცავენ მას. ჩვენდა საუბედუროდ ქართველი ერი ძალიან ცოტას ფიქრობს ამ საქმისათვის. სხვა ყველა ერი ირაზმება, ემზადება. ნუ თუ ჩვენც მათ გვერდში არ უნდა ავიმდგეთ? ნუ თუ ჩვენ არ უნდა გვაინტერესებდეს დიდებული მომავალი, რომელსაც ყველა ერი მოუთმენლად ელის? ქართველები უფრო მეტს უნდა ვზრუნავდეთ სამშობლოს განთავისუფლებისათვის. მაგრამ სამწუხაროთ ჩვენის მხრიდგან გულგრილობა ეტყობა ყოველივე საქმის სისრულეში მოყვანას. ქართულს ლაშქრებს სისუსტე ეტყობათ. ეს კი სამწუხარო მოვლენაა. ვისზედ რა ნაკლებნი არიან ქართველები, რათ უნდა ვილუპებოდეთ ზოგიერთი შეუგნებელი ადამიანისაგან? ყველა ასეთ გარემოებას უნდა დაუყონებლივ ყურადღება მიაქციოს ქართველმა ინტელიგენციამ და ახალგაზრდობამ. ჩაეწერნენ ქართულ ლაშქრებში—შექმნან დიდი ძალა, რომლითაც შევიძლოს გამოვიყვანოთ უბედურ გარემოებიდგან ჩვენი ძვირფასი სამშობლო და თავისუფლება. გარდა ამისა არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ზოგიერთი ჯარის-კაცის უგუნური საქციელი ჩირქსა სცხებს ქართველს ერს. წამკითხველს კარგად ექნება წარმოდგენილი—რაიც ხდება ყოველს ფეხის გადადგმაზედ. ასეთი უსაქციელობა, უწესობა და სიმშვიდის დარღვევა ქართველ ჯარის-კაცთა—შორის ხშირად ხდება ხოლმე.

ნუ თუ ყოველი ქართველის პირდაპირი მოვალეობა არ არის, დაიცვას თავისი საყვარელი სამშობლო მოსალოდნელის განსაცდელისაგან? ნუ თუ არ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ის, რომ თუ რევოლიუცია ჩაქრეს ბნელმა ძალებმა რომ უბედურობა მოელის განსაკუთრებით ქართველ ერს, რა რიგ ამოჰხდიან სულს ყოველს თავისუფლების მოტრფიალეს.

ეს არასოდეს არ უნდა მოხდეს. თუ ჩვენს სანუკვარო თავისუფლებას ვერ შევინარჩუნებთ, მაშინ რომ თვითეული ჩვენთაგანი არ იყოს, ის სჯობია. მაშ, ძმანო ჯარის-კაცნო და მოქალაქენო, მოგმართავთ თხოვნით საერთო საქმეს და მასთან რევოლიუციის მოძრაობას ხელს ნუ შეუშლით. ამხედრდით შეერთებული ძალით გავეპასუხოთ ჩვენს მოწინააღმდეგეს. უკუაგდეთ კერძო ინტერესები იმ დროს, როდესაც საყვარელი სამშობლო და თავისუფლება ჩვენგნით ენერგიულს დაცვას თხოულობს მოსალოდნელ განსაცდელისაგან. შეერთდით ყველა ქართველი ერი და დავანთხიოთ უკანასკნელი სისხლის წვეთი სამშობლოს აღდგენისა და თავისუფლების დამყარებისათვის. თვითეული ქართველი ადამიანი იქამდის მედგარია [illegible], რომ არავის უფლებას არ მისცემს შეულახოს მას კერა და წაართვან ის დაუფასებელი განძი, რომელზედაც მთელი ქართველი ერი გაიხარებს მომავალში, მაშ გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამხედრდით, ქართველნო, [illegible] პირი ჩვენს მოწინააღმდეგეს და [illegible] საქმის მსვლელობის ხელის შემშლელს. მოიხადეთ სამშობლოსადმი თქვენი პირდაპირი მოვალეობა. გაკაფეთ ის ეკლიანი გზა, რომელზედაც ჩვენი მომავლები თავისუფლად გაივლიან. წითელის დროშის ამართვით, რომელზედაც იქნება წარწერილი „[illegible]-რეჯის განთავისუფლებულს სამშობლოს და თავისუფლების დამყარებას“, ამ დიდებულს მისწრაფების განსახორციელებლად სიკვდილი და ან გამარჯვება!..

თედო თურქაძე.

მოწერილი ამბები

ს. მოლითი, (შორაპნის მაზრა) 14 ამ იანვარს მოხდა ბეჟათუბნის საზოგადოების მცხოვრებთა კრება, ასარჩევი იყო კომისარი. არჩეულ იქმნა ამბაკო ფეცქიალაძე, ალმ. კომიტ. წევრნი და სხვა. მოითხოვდნენ კომისარს დანიშნოდა ჯამაგირი, რაზედაც საზოგადოებამ უარი განაცხადა, ერთი პირის წყალობით კრებამ დაადგინა მიეცეს კომისარს ყოველი ქაღალდის დაბეჭდვისთვის 50 კ., რაც სამარცხვინოა და დასაგმობი, როგორც ნაშთი ძველი წესწყობილებისა, კომიტეტის მოვალეობაა მოსპოს ასეთი მავნე ჩვეულება, დაუყოვნებლივ.

სიმშილი მოახლოვებულია და შველა კი არსაიდგან არის. სიმინდი ვისაც აქვს არ ყიდის და თუ როგორმე გაიმეტა 30 გირვანქა ფოხალი 20 მან. რამდენჯერმე გამოითქვა სურვილი სიმინდის რეკვიზიციისა და მცხოვრებთა შორის დანაწილების შესახებ, მაგრამ, რათქმა უნდა შეძლებულების წყალობით, ხალხი წინააღმდეგი წავიდა: „ვაი თუ სიმინდი ვერ ჩამოვართვათ და მერე სასესხებლათაც ვეღარ ვიშოვოთ“-ო.

საჭიროა საჩქარო ზომების მიღება.

სამიკიტნო დუქნები გამრავლდნენ. ლოთობა და ზურნაზე ქეიფი გახშირდა და ასეთ გაჭირვების დროს ისეთებიც კი, რომელთა სახლში სიმშილობაა, უკანასკნელ მანეთს დუქნებში ტოვებენ.

დროა ასეთ სამარცხვინო და მავნე მოვლენას ბოლო მოეღოს.

გახშირდა აგრეთვე ქურდობაც, გაქურდეს რამოდენიმე სახლი და მათ შორის ხარაზი პეტრე ცუცქირიძე, რომელსაც მოპარეს წუღები და სხ., ღირებული 1000 მანეთამდის. ბოროტმოქმედნი: ვლად. ცხოვრებაძე, პავლე შარიქაძე და ვარდენ კვირიკაშვილი აღმოაჩინეს, რომელნიც დანაშაულში გამოტყდნენ. ისინი დაატუსაღეს და ციხეში გაგზავნეს, გარდა ცხოვრებაძისა, რომელიც „ფრთხილ“ ადგილობრივ მილიციონერებს გაეპარათ.

საჭიროა თვით ხალხმა გამონახონ საშვალება ავაზაკების ასალაგმავად.

ჩამორჩენილი.

—

ს. ონტოფო (სენაკის მაზრა). სოფ. ონტოფო ითვლებოდა სოციალ-დემოკრატიის უმაგრეს ციხე-სიმაგრედ მთელს სამეგრელოში. თუ სხვაგან სტვენითა და კივილით ისტუმრებდნენ სხვა პარტიის, და მათ შორის განსაკუთრებით სოც.-ფედერალისტთა პარტიის, პროპაგანდისტ-აგიტატორებს, ონტოფოელები ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ უკანასკნელთ. ამის მიზეზი იყო, რა თქმა უნდა, არა თვით ხალხის ბოროტი სული, არამედ მისი მეთაურთა ფანატიკოსობა, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ (და ახლაც ხმარობენ), რომ სიმართლის შუქს არ შეენათებინა მათ ბუნაგში და მათი გამურული პირი არ გამოეჩინა.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბოლოს და ბოლოს მათს მეცადინეობას ეცლება ნიადაგი. ხალხი მიხვდა, რომ „ერთად-ერთი მუშათა პარტია“ არც იმდენად მუშათა პარტია გამოდგა, როგორც უსახავს თვით ის თავის თავს ქვეყანას. მეორეს მხრით, ჩვენი ამხანაგების მიერ მათი სისხლით მორწყულ ნიადაგში ხალხის უვიცობის ჭექა-ქუხილის ქვეშ ვაი-ვაგლახით მარცვლობით ჩალაგებულმა ჭეშმარიტების თესლმა უკვე ამოიყარა ჯეჯილი, ჯერ თუმც ძლიერ ნორჩი და თხელი, მაგრამ მაინც დიდი იმედის მომცემი მომავალში.

და აი ამის საბუთი. 25 წარსულ დეკემბრისას ამხ. სვ. მუსერიძემ (ფოთის ორგანიზაციის წევრია) წაიკითხა ლექცია მეორე ონტოფოში, ხოლო 26 დეკ. იგივე ლექცია გაიმეორა პირველ ონტოფოში.

ლექცია იყო შემდეგ თემაზე: „ორი გზა სოციალიზმისაკენ“ და „მომენტი და ჩვენი ტაქტიკა“, მიუხედავად ამისა, რომ ლექცია წაკითხულ იქმნა დღესასწაულის დღეებში, როდესაც ხალხი ჩვეულებრივ იქანცება სხვა და სხვა გასართობებით, ლექციის ორივე ადგილას მსმენელნი ბლომად დაესწრენ და ძლიერ გულდასმით მოუსმინეს, როგორც თვით ლექცია, ისე მის შემდეგ გამართული კამათი, რომელშიც ლექტორის წინააღმდეგ გამოვიდნენ მენშევიკები და ბოლშევიკები. ამხ. მუსერიძემ თითოეულ მოწინააღმდეგეს გასცა პასუხი და მასთან იმდენად მოხდენილი და დასაბუთებული, რომ ხალხის სიმპატია აშკარად მის მხარეზედ გადიხარა, რაც გამოიტა მხურვალე ტაშში.

ორივე დღეს ლექცია კამათითურთ გაგრძელდა არა ნაკლებ ექვსი საათისა, მაგრამ ხალხს სრულიად არ უგრძნია დაღლილობა მიუხედავად იმისა, რომ ნახევარზე მეტმა ფეხზე დგომით მოისმინა იგი. პირიქით მრავალი მსმენელთაგანი გამოსთქვამდა სურვილს, რომ ამ გვარი შინაარსიანი ლექციები ხშირად გაიმართებოდეს სოფლად.

და ჩვენი ვალია, შევასრულოთ ხალხის სურვილი.

ნონია.

—

ქ. ახალციხე. აქ შემდგარმა ქართულმა ინტერპარტიულ საბჭომ, იანვრის 10-ში გაგზავნა ტფილისში, 3 წევრისაგან შემდგარი დელეგაცია, ახალციხის აუტანელ მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად ქართველთა ეროვნულ საბჭოსთან.

დელეგაციამ, რაც მას ჰქონდა დავალებული, შეასრულა და ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი პასუხით მობრუნდა ახალციხეს იანვრის 15 ს.

რა თქმა უნდა, დელეგაციამ მეორე დღესვე ე. ი. 16 იანვარს ინტერპარტიულ საბჭოს გადასცა ეროვნულ საბჭოს პასუხი. რათა ახალციხის მცხოვრებნი ცოტად თუ ბევრად დამშვიდებულიყვნენ, დელეგაციამ სთხოვა საბჭოს მოეწვია საჩქაროდ საზოგადო კრება და გამოეცხადებია მისთვის ეროვნულ საბჭოს პასუხი. მაგრამ... მაგარი-კი ის არის რომ ამ შემთხვევაშიც ეროვნულ-დემოკრატებმა გამოიჩინეს თავიანთი ბურჟუაზიული ჟინიანობა, და მიუხედავად იმისა რომ აქ ყოველ-დღე ვრცელდება ათასნაირი პროვოკაცია, რომელსაც შეიძლება ყოველ ჟამს მოჰყვეს სისხლის ღვრა ქრისტიანებსა და მაჰმადიანთა შორის, დღემდის გაჩუმებულნი არიან. ეს სიჩუმე უფრო ართულებს საქმეს და პროვოკაციაც მაგრად იკიდებს ფეხს.

მარტო სახელით არაფერი გაკეთდება. საჭიროა, ინტერპარტიული საბჭო დაუყოვნებლივ და ენერგიულად შეუდგეს საქმეს: გამართოს [illegible] ყოველ-დღე კრებები და მოუწოდოს მცხოვრებთ და ჯარის კაცებს რევოლიუციის და სამშობლოს დასაცავად, აიცილონ თავიდან სამოქალაქო ომი და იქონიონ ძმური კავშირი ყველა მეზობელ ერებთან.

თუ ამ დარგში არ იმუშავა ინტერპარტიულმა საბჭომ, სჯობს მარტო სახელის ტარებას თავი დაანებოს. და ალბად მის მაგიერ სხვა ვინმე გამოგვიჩნდება პატრონი.

ძველად მცხეთელი.

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
[illegible]

ექიმი
ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606“ და „914“ პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 33. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
თიქანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1008

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხა-მედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა,
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 16—67. 1009

ძ. ქაშქაშში.
ექიმი რევაზ ალექსანდრეს ძე
მ ა ჩ ა ბ ე ლ ი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოის.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ სამკურნალ. ექიმ ნ. მ. კიშკინისა იღებს შინაგან და ნერვების ავათმყოფებს (ფსიხიოტერაპია) სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, და პარასკევს 3—5 ს. ოლღას ქ. № 22. 132

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ [illegible] 5—6 ს.-დე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიძისა. ტელეფ. 5—77. 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფ[illegible] დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. [illegible] ქ. 12, 9 [illegible] 1002

ექიმი ქალისა
ნინო რცხილაძე
იღებს [illegible] დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, [illegible]

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—3 საათ. ვორონცოვის ქ. № 6.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—[illegible] გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრ კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლენოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
დოქტორი მედიცინისა მიუნხენის უნივერსიტეტისა. შინაგანი, ბავშვ., საბებიო და საშვილ. სნეულ. მიიღ. ყოვ. დღე დილ. 9—10 ს. საღ. 5—6 საათ. უფასოთ მიიღ. ყოველ. დღე დილ. 8—9 ს. [illegible] ქუჩა № 6. მე 3 სართ. 184

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606“ და „914“
ავტეხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ზ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1001

„სახალხო საქმე“-ს
რედაქციის კანტორაში
იყიდება შემდეგი წიგნები:

ჯავახიშვილი ივ.—„ქართველ ერის ისტორია“ მხოლოდ მეორე ტომ.	3 მ.
ღლონტი თ. „ავტონომია და ფედერაცია“ წ. I	4 „
გრდემლი წ. I	3 „
ქართველი მწერლები	2 „
უცხოეთის „	2 „
შიუკაშვილი—„მეგობრობა“	— 60 კ.
ჯანაშვილი—„თამარ მეფე“	1 „ 20 „
ფირცხალავა ს. „სამაჰმადიანო საქართველო“	— 40 „
ღლონტი თ. რუსული წიგნაკი—„ფედერალიზმი“	— 60 „

წიგნის დაკვეთა შეიძლება ფოსტით, რაიცა შესრულდება დაუყონებლივ. წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. გამოწერა შემდეგი მისამართით—ტფილისი, რედაქცია „სახალხო საქმე“.

სტამბა
სახალხო საქმე
ტფილისი
ბარონის ქუჩა
№ 14

სტამბა ასრულებს ყოველ
გვარ სასტამბო საქმეებს
სუფთად, იაფად და თავის
დროზე

სტამბა „სახალხო საქმე“ [illegible] ბარონის ქუჩა, სახლი № 14